

## ჩემი წილი სუფთა ჰაერი

მე ილია ვარ 16 წლის. ექვსი თვეა რაც ფილტვის კიბოს დიაგნოზი დამისვეს. მას შემდეგ საავადმყოფოში ვცხოვრობ. ჩემი ფილტვები თავისით ვერ სუნთქავს. ჟანგბადის აპარატი სჭირდება.

პალატაში მარტო არ ვარ, ჩემს გვერდით სისხლის დაავადებას ებრძვის თორნიკე, კიდევ მარიამი...

ექიმი ხშირად შემოდის, გაგვსინჯავს, გვესაუბრება. საუბრის დროს თვალეებში არასოდეს გვიყურებს, სადღაც შორს იყურება, ამას წინათ გვითხრა, ჰაერის დაბინძურების, გამონახოლქვის ბრალიაო...

იცოდით, რამდენად მძიმედ არის დაბინძურებული ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავთ? ის შეიძლება ისეთივე საზიანო იყოს ფილტვებისთვის, როგორც ერთი კოლოფი სიგარეტის მოწევა.

მე და თქვენ გვაქვს არჩევანი, მოვწიოთ თუ არა თამბაქო, მაგრამ არ გვაქვს არჩევანი, ვისუნთქოთ თუ არა ჰაერი.

სუნთქვა, როგორი ჩვეულებრივი რამ გვგონია, როცა არაფერი გვაწუხებს...

ჰაერი უფერო, უსუნო, უხილავი აირების ნარევი. მის უმეტეს ნაწილს აზოტი ქმნის (78%). ჟანგბადის წილად ჰაერის 21% მოდის. თანაბარი წილი – 0.03% – უკავია არგონსა და ნახშირბადს. სხვა აირების შემცველობა კი ძალზედ მცირეა. ჰაერის დაბინძურების განმაპირობებელი ფაქტორები ორ ჯგუფად იყოფა: – ბუნებრივად და ტექნოგენურად. ბუნებრივია: ვულკანების ამოფრქვევა, ზღვის მარილების მიგრაცია, ნიადაგის მტვერი, ტყის ხანძრები, კოსმოსური მტვრის დაღექვა. თუ ამ ფაქტორებზე გავლენას ვერ ვახდენთ, ტექნოგენური ზემოქმედება მთლიანად ადამიანის მიერ შექმნილი პრობლემაა – თბოენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობმომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, საშენ მასალათა მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა... ცალკე უნდა გამოვყოთ ტრანსპორტი, რომლის წილად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დიდი წილი მოდის.

ჰაერის მთავარი დამაბინძურებლები: მტვრის მყარი ნაწილაკები, ნახშირბადის მონოქსიდი, ოზონი, აზოტისა და გოგირდის დიოქსიდებია.

კიდევ ერთი პრობლემაა ნაგავსაყრელები, რომლებიც ალდება და ირგვლივ მყოფ მოსახლეობას საფრთხეს უქმნის.

ჰაერის დაბინძურებაზე გავლენას ახდენს ქალაქდაგეგმარება, სეისმური თავისებურებები და განაშენიანების ტიპიც. ექსპერტები წუხან, რომ ქალაქდაგეგმარების პროცესში ეკოლოგები არ

მონაწილეობენ. მათი აზრით, აუცილებელია მწვანე საფარის აღდგენა და ისეთი ხეების დარგვა, რომლებსაც ჰაერის დაბინძურების აღკვეთა შეუძლია.

ჰაერის დაბინძურება მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია დაბინძურებით გამოწვეული ბევრი დაავადებებისთვის, მათ შორის: სასუნთქი ინფექციების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა, ფილტვების ქრონიკული დაავადებების, ინსულტისა და ფილტვის კიბოსთვის. სამეცნიერო კვლევები ცხადყოფს, რომ ჰაერის დაბინძურება შეიძლება დაკავშირებული იყოს IQ-ის შემცირებასთან, შემეცნების დაქვეითებასთან, ფსიქიატრიული დარღვევების რისკის ზრდასთან. ჰაერის დაბალი ხარისხი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მაგრამ განსაკუთრებით, სასუნთქ სისტემასა და სისხლის მიმოქცევის სისტემაზე. ჰაერის გარე დაბინძურება ყოველწლიურად 2.1 -4.2 მილიონამდე ადამიანის სიკვდილს იწვევს, რაც სიკვდილიანობის გამომწვევ მიზეზებს შორის ერთ-ერთი პირველია. საერთო ჯამში, ჰაერის დაბინძურება მსოფლიო მასშტაბით ყოველწლიურად 7 მილიონი ადამიანის სიკვდილს, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის 2.9 წლით შემცირებას და მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკოლოგიური რისკია ჯანმრთელობისთვის.

ჰაერის სისუფთავეზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის, სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთო საქმეა.

მე კი, ერთ ცნობილ გამოთქმას ვიტყვი, „მითხარი, როგორი ჰაერით სუნთქავ და გეტყვი, როგორ ქვეყანაში ცხოვრობ“

რომ გავიზრდები, მეტეოროლოგი გამოვალ, შევქმნი მოწყობილობას, რომელიც ისე გაასუფთავებს ჰაერს, როგორც დიდი მცენარეების ბაღი.

რათა ყველას გვექონდეს შესაძლებლობა ვისუნთქოთ ჩემი, შენი, ჩვენი წილი სუფთა ჰაერი.